უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველ საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური დახმარება
(მიმართულება საპილოტეა და შეიძლება განიცადოს ცვლილება)

ქვეპროგრამის, წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა, ფარგლებში ცხადდება კონკურსი, რომელიც გულისხმობს აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული საქართველოს მოქალაქის ან/და პირადობის ნეიტრალური მოწმობისა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელის უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ პროგრამაზე სასწავლებლად ფინანური დახმარების გაწევას.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც ჩარიცხულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიის, იაპონიის, შვეიცარიისა და ნორვეგიის უმაღლეს სასწავლებელში პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები

აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული საქართველოს მოქალაქე ან/და პირადობის ნეიტრალური მოწმობისა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა აკრედიტებულ საბაკალავრო პროგრამაზე, მოპოვებული აქვს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების გრანტი, გააჩნია შესაბამისი ჩარიცხვის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი და ითხოვს სემესტრულ დაფინანსებას.

უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკრედიტებულ საბაკალავრო პროგრამაზე პირველი კურსის პირველი სემესტრის დასაფინანსებლად საჭირო დოკუმენტების ნუსხა

ა) განცხადება;

ბ) CV;

გ) აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ასლები;

დ) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკრედიტებულ საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის ხელმოწერილი ან ბეჭდით დადასტურებული დოკუმენტი;

ე) ხელმოწერილი ან ბეჭდით დადასტურებული პროგრამის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ვ) უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ხელმოწერილი ან ბეჭდით დადასტურებული დოკუმენტი სწავლის სემესტრული გადასახადის (დავალიანების) თაობაზე, სასწავლებლის შესაბამისი საბანკო რეკვიზიტების მითითებით.

ზ) უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ხელმოწერილი ან ბეჭდით დადასტურებული დოკუმენტი მოპოვებული გრანტის ოდენობის თაობაზე და თანადამფინანსებლის მიერ გაცემული ხელმოწერილი ან ბეჭდით დადასტურებული დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში).

თ) კონკურსანტის ქვეყანაში არყოფნის შემთხვევაში, შესაბამისი, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.

ი) კონკურსანტის საბანკო რეკვიზიტები.

კ) აკადემიური მოსწრების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ხელმოწერილი ან ბეჭდით დადასტურებული დოკუმენტი საშუალო საფეხურის GPA **(ქულა დამრგვალების გარეშე)** თაობაზე.

სამინისტრო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული.

ფინანსური დახმარება გაიცემა ერთი სემესტრისთვის უცხოური ვალუტის შესაბამისი ექვივალენტი ლარში, არაუმეტეს 7000 ლარის ფარგლებში, თითოეულ კონკურსანტთან მიმართებით.

პროგრამა არ ითვალისწინებს სწავლა-სწავლების არასრული დატვირთვის რეჟიმის მქონე, ელექტრონული ფორმის (online), დისტანციური ან/და ე.წ. „Executive" სამაგისტრო პროგრამების დაფინანსებას.

საკონკურსო/სააპლიკაციო პროცესი

ა) კონკურსი გამოცხადდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური ვებგვერდის (პორტალის) მეშვეობით - https://www.abkhazia.gov.ge/;

ბ) მოქალაქეთა განცხადებების მიღება იწარმოებს **პირველი ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, შემდეგ** მისამართზე: ქ. თბილისი, უზნაძის ქ.N68, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო;

გ) დოკუმენტაციის დროულად და სრულყოფილად წარმოდგენის კონტროლი კონკურსანტის ვალდებულებას წარმოადგენს. განცხადების წარდგენის პროცედურა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კონკურსი შედგება ორი ეტაპისაგან

პირველი ეტაპი - განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ადმინისტრაციული (ფორმალური) შემოწმება და კომისიაზე წარდგენა.

მეორე ეტაპი - განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

გადაწყვეტილების თაობაზე კონკურსანტს ეცნობება განაცხადში მითითებული ელ.ფოსტის მისამართზე.

კონკურსანტის დაფინანსებისას კომისია მსჯელობს მის მიერ წარმოდგენილი აკადემიური მოსწრების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული საშუალო საფეხურის GPA **(ქულა დამრგვალების გარეშე)** დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. დასაფინანსებლად პრიორიტეტი მიენიჭება უფრო მაღალი შეფასების GPA მქონე სტუდენტებს, ქვეპროგრამაში ამ მიმართულებით არსებული ბიუჯეტის ამოწურვამდე.

გადაწყვეტილების მიღება მოხდება განცხადების მიღების დასრულებიდან 15 დღის ვადაში.

სამინისტრო იღებს ვალდებულებას

კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, სამინისტრო უზრუნველყოფს დაფინანსებული პირის საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო ანგარიშზე სათანადო თანხის ჩარიცხვას (თანხის ჩარიცხვა მოხდება თანხის გადარიცხვის დროისათვის არსებული ეროვნული ბანკის შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში, ლარში.)

დაფინანსებული პირი იღებს ვალდებულებას

ა) სემესტრის დასრულების შემდგომ დაფინანსებულმა პირმა წარმოადგინოს ქართულად ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რითაც დგინდება შემდეგ სემესტრში სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების ფაქტი.

ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პირი სასურველია სწავლის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში დაბრუნდეს საქართველოში, მიღებული ცოდნა და გამოცდილება მოახმაროს ქვეყნის ინტერესებს - დასაქმების, დაინტერესებული სამიზნე ჯგუფებისთვის ცნობიერების ამაღლების ან სხვა რელევანტური გზით.

ე) 7000 ლარზე მეტი სემესტრული გადასახადის არსებობისას, სამინისტროს მხრიდან დაფინანსების შემთვევაში, დაფინანსებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს დარჩენილი გადასახადის გადახდის დოკუმენტი.

სამგზავრო ხარჯების დაფინანსება
(აფხაზეთიდან დევნილი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები, ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების აკრედიტირებული პროგრამების რეზიდენტები)

აღნიშნული მიმართულება ხელს შეუწყობს უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აფხაზეთიდან დევნილი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების, ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების აკრედიტირებული პროგრამების რეზიდენტების მიერ განათლების მიღებას, საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობით ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას, ქართველი სტუდენტების საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებში ინტეგრირებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამეცნიერო საქმიანობასთან, კონფერენციებთან, აფხაზეთიდან დევნილ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების, ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების აკრედიტირებული პროგრამების რეზიდენტების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლასთან დაკავშირებული სამგზავრო ხარჯების დაფინანსება.

სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხა გადაირიცხება უშუალოდ დასაფინანსებელი პროექტის წარმომდგენი იურიდიული პირის ანგარიშზე, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება სამინისტროს წინაშე გამოყოფილი თანხის მიზნობრივად გახარჯვის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციით.

აფხაზეთიდან დევნილ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს, ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების აკრედიტირებული პროგრამების რეზიდენტებს, რომლებიც ჩაირიცხნენ და სწავლობენ უცხო ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტირებული პროგრამებზე და ვერ იქნებიან წარმოდგენილნი საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების მიერ, სამგზავრო ხარჯებთან დაკავშირებული თანხები ჩაერიცხებათ კომპანიებში, საიდანაც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ინვოისები.

განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ

ა) განცხადება მინისტრის სახელზე;

ბ) CV;

გ) პირადობის და დევნილის მოწმობის ასლები;

დ) ინვოისები არანაკლებ ორი კომპანიიდან;

ე) ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამეცნიერო საქმიანობასთან, კონფერენციებთან, აფხაზეთიდან დევნილი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების, ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების აკრედიტირებული პროგრამების რეზიდენტების სწავლასთან დაკავშირებული სამგზავრო ხარჯების დაფინანსებისას წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე მიწვევის, სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, უცხო ქვეყანაში შესვლის ნებართვა, ანუ ვიზა.

სამგზავრო ხარჯების დასაფინანსებლად განაცხადების მიღება იწარმოებს ქვეპროგრამის დამტკიცებიდან 2024 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. დაფინანსება განხორციელდება ქვეპროგრამის კვარტალური ბიუჯეტის შესაბამისად.